

კონსპექტი რეგიონული ანგარიშების შესახებ



P. 2	1 477	P. 1	2 808
B. 1g	1 331	P. 11	2 808
		P. 12	0
P. 2	1 883	P. 1	3 604
		P. 11	3 077
		P. 12	147
B. 1*g	1 854	P. 13	380
		D. 21-D. 31	133



**GŁÓWNY URZĄD
STATYSTYCZNY**

სტატისტიკის მთავარი
სამმართველო



**URZĄD STATYSTYCZNY
W KATOWICACH**

კატოვიცის სტატისტიკის
სამმართველო

კონსპექტი რეგიონული ანგარიშების შესახებ



პოლონეთის დახმარება
www.polskapomoc.gov.pl

კატოვიცე, 2014

პუბლიკაცია შემუშავებულია	კატოვიცეს სტატისტიკის სამსახურის რეგიონული ანგარიშების ცენტრის მიერ
სარედაქციო ჯგუფი	ნატალია ბარონი (Natalia Baron) ალექსანდრა ბარტონი (Aleksandra Barton) აგნიეშკა ბორუვკა (Agnieszka Borówka) ევა ბირჩეკი (Ewa Byrczek) დოროტა დონიეცი (Dorota Doniec) ანა ჰოლექეკი (Anna Holeczek) აგნიეშკა მატისი (Agnieszka Matys) კატაჟინა ოვსიანი (Katarzyna Owsiany) მაღგოჟატა შჩიგიელი (Małgorzata Szczygieł)
კომპიუტერული დამუშავება	სილვია არდენტ-ბიერონსკა (Sylwia Arendt-Bierońska)
თარგმანი	მანანა გელაშვილი (Manana Gelashvili)

პუბლიკაცია შემუშავებულ იქნა პროექტი „საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის ხელშეწყობა რეგიონული სტატისტიკის სფეროში. რეგიონული განვითარების ანალიზების და რეგიონული ანგარიშების შედგენისთვის საჭირო ცოდნის გაზიარება“-ის ფარგლებში.

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პოლონეთის თანამშრომლობის განვითარების პროექტის ფარგლებში.

პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების შეხედულებებს და არ შეიძლება ის გაიგივებულ იქნას პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციასთან.

პუბლიკაცია განთავსებულია ვებგვერდზე – <http://www.stat.gov.pl>
პუბლიკაციაში გამოყენებულ იქნა პროგრამა „Creative Commons Uznanie autorstwa 3.0 Polska„-ს მასალები (CC BY 3.0 PL)



პოლონეთის დახმარება

შინაარსი

შესავალი	4
1. ანგარიშების სისტემა	5
2. სამართლებრივი საფუძვლები	10
3. დოკუმენტები და სახელმძღვანელოები	11
4. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სავალდებულო რეგიონული ანგარიშების ფარგლები	12
5. ნომენკლატურები და კლასიფიკაციები	14
6. რეგიონის ცნება	18
7. ერთეულები და მათი დაჯგუფება	20
8. ტრანზაქციები	23
9. ღირებულების განსაზღვრა	26
10. რეგიონულ დონეზე შედგენილი ანგარიშები	29
11. მაკროეკონომიკური კატეგორები	33
12. რეგიონული ანგარიშების შედგენის წესები	36
13. რეგიონალიზაციის მეთოდები	38
14. პუბლიკაციები და მონაცემთა ბაზები	42
15. რეგიონული ანგარიშები მონაცემების მნიშვნელობა და გამოყენება	44

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პროექტი „საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის ხელშეწყობა რეგიონული სტატისტიკის სფეროში. რეგიონული განვითარების ანალიზების და რეგიონული ანგარიშების შედგენისთვის საჭირო ცოდნის გაზიარება“-ის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგს. პროექტი განხორციელდა პროგრამა „თანამშრომლობა განვითარებისთვის 2014“-ის ფარგლებში და დაფინანსდა ქვეყნის ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვებიდან, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ კოორდინირებული, განვითარებაზე ორიენტირებული, პროგრამა. რეგიონული ანგარიშების მიმართულებით, აღნიშნული პროექტი წარმოადგენდა 2011 და 2013 წლებში განხორციელებული პროექტების გაგრძელებას პროგრამა „პოლონეთის დახმარების“ ფარგლებში.

პროექტის მთავარი მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის ხელშეწყობა რეგიონული სტატისტიკის წარმოების სფეროში და მისი როგორც საჯარო ადმინისტრაციის ინსტიტუციონალური უნარების გაძლიერება.

ავტორების, კატოვიცეს სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების, ჩანაფიქრის თანახმად, წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს რეგიონული ანგარიშების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის კრებულს და განკუთვნილია ქართველი სტატისტიკოსებისთვის. რეგიონული ანგარიშების წარმოებისთვის საჭირო ცოდნის რესურსში ინფორმაცია წარმოდგენილია სინთეზურად და, შეძლებისდაგვარად, სრულად.

პუბლიკაცია მოიცავს ანგარიშთა სისტემის შესახებ ზოგად ინფორმაციას და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის სავალდებულო ანგარიშთა სპექტრს, ასევე რეგიონული ანგარიშების სამართლებრივ საფუძვლებს, დოკუმენტებს, სახელმძღვანელოებს, ნომენკლატურებს, კლასიფიკაციებს, პუბლიკაციებს და მონაცემთა ბაზებს. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია რეგიონის, ერთეულების და მათი დაჯგუფებების, ტრანზაქციების, ღირებულების შეფასების ცნებები და რეგიონულ დონეზე წარმოებული ანგარიშების ფარგლების, მაკროეკონომიკური კატეგორიებისა და რეგიონული ანგარიშების შედეგების პრინციპების ასევე რეგიონალიზაციის მეთოდების შესახებ. იქ სადაც საჭიროდ მიიჩნიეს ავტორებმა, მოცემულია ასევე ინფორმაცია ეროვნული ანგარიშების შესახებ. გარდა ამისა, პუბლიკაცია მოიცავს ინფორმაციას რეგიონული და ეროვნული ანგარიშების მონაცემების მნიშვნელობის და გამოყენების შესახებ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე პუბლიკაციაში შესული ინფორმაცია ეროვნული და რეგიონული ანგარიშების შესახებ გახდება რეგიონული ანგარიშების შედგენისთვის საჭირო ცოდნის წყარო.

1. ანგარიშთა სისტემა

ESA 2010

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ეროვნული და რეგიონული ანგარიშები შემუშავდება „ევროპის ანგარიშთა სისტემა ESA 2010“-ის პრინციპების და რეკომენდაციების თანახმად.

ESA 2010 განსაზღვრავს:

- ერთობლივი სტანდარტების, დეფინიციების, კლასიფიკაციების და ტრანზაქციების აღრიცხვის საერთო სტანდარტის მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებაც აუცილებელია ანგარიშების და ცხრილების (დადგენილების დანართი A) შედგენისას,
- ტრანსმისიის პროგრამას (დადგენილების დანართი B), რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გადასაცემ ანგარიშებსა და ცხრილებს, მონაცემთა ფარგლებს და გადაცემის ვადებს.

ESA 2010-ის [1.01.] პუნქტის თანახმად:

*ევროპის ანგარიშთა სისტემა (შემდგომში: „ESA 2010“ ან „ESA“)
წარმოადგენს საერთაშორისო მეთოდოლოგიურ და საანგარიშო სტანდარტს
მთლიანი ეკონომიკის დეტალური და სისტემატიური აღწერისთვის (ანუ
რეგიონების, სახელმწიფოების ან სახელმწიფოთა ჯგუფების), მათი
შემადგენელი ნაწილების, ასევე სხვა ეკონომიკებთან კავშირების
აღწერისთვის.*

ეროვნული ანგარიშები

- შინაგანად მოწესრიგებული, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული მაკროეკონომიკური ანგარიშების, ბალანსების და ცხრილების ერთობლიობა, რომელიც გვაძლევს ეროვნული ეკონომიკის სისტემაში მოყვანილ და სრულყოფილ სურათს ცალკეული მაკროეკონომიკური კატეგორიების სახით,
- სახელმწიფო სტატისტიკის მაინტეგრირებელი ინსტრუმენტი, რაც უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის თანმიმდევრულობას ცნებების, დეფინიციების, კლასიფიკაციების და ანგარიშების მეთოდების თვალსაზრისით,

- ეკონომიკური ანალიზების და პროგნოზების საფუძველი; ანალიზები წარმოადგენს მთავრობის მიერ გასაწყვეტილების მიღების პროცესის საფუძველს, ხოლო პროგნოზების გათვალისწინება ხდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალწლიან სტრატეგიებში.

რეგიონული ანგარიშები

- ეროვნული ანგარიშების სივრცითი სპეციფიკაცია, ეროვნულ ანგარიშების ქვესისტემა, რომელშიც ეროვნული ეკონომიკის ყველა სუბიექტის ეკონომიკური აქტიურობა დაჯგუფებულია ტერიტორიულ ჭრილში – რეგიონულ დონეზე,
- ტერიტორიულ ჭრილში წარმოდგენილი მაკროეკონომიკური ინფორმაციის წყარო (რეგიონების ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონეების შესახებ, ასევე ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების სივრცითი ასახვა),
- იძლევა ეკონომიკური ანალიზების საჭირო სრულყოფილ და კომპლექსურ ინფორმაციას სივრცით ჭრილში,
- ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს რეგიონული პოლიტიკის სფეროში.

ESA 2010-ის [13.02.] პუნქტის თანახმად:

რეგიონული ანგარიშები წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ანგარიშების რეგიონულ შესატყვისს. რეგიონული ანგარიშები უზრუნველყოფს ძირითადი აგრეგირებული მონაცემების რეგიონულ ჭრილში ასახვას, ისეთი, როგორცაა მთლიანი დამატებული ღირებულება საქმიანობის სახეების მიხედვით და შინამეურნეობების შემოსავლები.

რეგიონულ ანგარიშებში გამოიყენება ეროვნული ანგარიშების ცნებები და დეფინიციები

ESA 2010-ის [13.03.] პუნქტის თანახმად:

რეგიონულ ანგარიშებში გამოიყენება ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგია, ...


ეროვნული ანგარიშების ფარგლები

- ეროვნული ანგარიშები შედგება წლიური და კვარტალური პერიოდებისთვის,
- ეროვნული ანგარიშების ორი სეგმენტი: ანგარიშების ინსტიტუციონალური სექტორების და ქვესექტორების სისტემაში (ფინანსური და არაფინანსური ანგარიშების სრული პაკეტი) და ანგარიშები საქმიანობის სახეობის მიხედვით (ტრანზაქციები შედგენა ხდება მხოლოდ გამოშვების ანგარიშში და შემოსავლის ფორმირების ანგარიშში),
- დარგთაშორისი დინებების კომპლექსი (მიწოდების და გამოყენების ცხრილები, ასევე დარგთაშორისი დინებების სიმეტრიული ცხრილები).

ESA 2010-ის [1.113.] პუნქტის თანახმად:

სისტემა ESA 2010 აწყობილია ურთიერთდაკავშირებული ანგარიშების პრინციპით. ინსტიტუციონალური ერთეულების და ინსტიტუციონალური სექტორების ანგარიშების სრული თანმიმდევრობა შედგება მიმდინარე ანგარიშებისგან, დაგროვების ანგარიშებისგან და ბალანსებისგან.

ანგარიშების თანმიმდევრობის სქემა



რეგიონული ანგარიშების ფარგლები

- რეგიონული ანგარიშების შედგენა ხდება წლიური პერიოდულობით,
- ეროვნულ ანგარიშებთან შედარებით, რეგიონული ანგარიშების ფარგლები მცირეა, ეს შეზღუდვა გამომდინარეობს სპეციფიური მეთოდოლოგიური პრობლემებისგან და წყარო-მონაცემების ხელმისაწვდომობის საკითხიდან,
- რეგიონულ ანგარიშებში ხდება შემდეგი მიმდინარე ანგარიშების შეჯერება: გამოშვების ანგარიში და შემოსავლების ფორმირების ანგარიში ინსტიტუციონალური სექტორების მიხედვით და საქმიანობის სახეების მიხედვით, ასევე შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში და შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში შინამეურნეობების სექტორში.

ESA 2010-ის [13.04.] პუნქტის თანახმად:

რეგიონული ანგარიშები მოიცავს იგივე ანგარიშებს, რაც ეროვნული ანგარიშები, თუმცა ასახავს რეგიონულ დონეზე არსებულ ეკონომიკურ სტრუქტურას, ცვლილებებს და განსხვავებებს. კონცეპტუალური და აღრიცხვასთან და დაკავშირებული პრობლემებიდან გამომდინარე, რეგიონების ანგარიშების ფარგლები და დეტალობის ხარისხი უფრო შეზღუდულია, ვიდრე ეროვნული ანგარიშებისა.

ESA 2010-ის [1.115.] პუნქტის თანახმად:

ანგარიშების თანმიმდევრობა საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულებისთვის, ასევე დარგებისთვის შემოიფარგლება პირველი ორი მიმდინარე არგარიშით: გამოშვების ანგარიშით და შემოსავლების ფორმირების ანგარიშით, რომლის მაბალანსირებელ პოზიციას წარმოადგენს საოპერაციო ნამატი.

2. სამართლებრივი საფუძვლები

- ევროკავშირის პარლამენტის და საბჭოს 2013 წლის 21 მაისი რეგულაცია 549/2013 ევროკავშირში ეროვნული და რეგიონული ანგარიშების ევროპული სისტემის შესახებ;
ევროკავშირის საკანონმდებლო უწყებანი L 174, 26.06.013 წ.
- ევროკავშირის პარლამენტის და საბჭოს 2003 წლის 26 მაისის რეგლამენტი 1059/2003 სტატისტიკური მიზნებისთვის ტერიტორიული ერთეულების საერთო კლასიფიკაციის შემოღების შესახებ (NUTS);
ევროკავშირის საკანონმდებლო უწყებანი L 154, 21.06.2003 წ.
- ევროკომისიის 2013 წლის 9 დეკემბრის რეგლამენტი 1319/2013, რომელიც ცვლის ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 26 მაისის რეგლამენტის 1059/2003 დანართებს;
ევროკავშირის საკანონმდებლო უწყებანი L 342, 18.12.2013 წ.
- ევროკავშირის პარლამენტის და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის რეგლამენტი 1893/2006 ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური კლასიფიკაციის NACE Rev. 2 შესახებ და ევროკავშირის საბჭოს 3037/90 რეგლამენტის და სტატისტიკის სხვადასხვა დარგებში მოქმედი ევროკავშირის ზოგიერთი სხვა დადგენილებების ცვლილებების შესახებ;
ევროკავშირის საკანონმდებლო უწყებანი L 393, 30.12.2006 წ.
- ევროკავშირის პარლამენტის და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგლამენტი 1303/2013, რომელიც აწესებს საერთო დებულებებს ევროპის რეგიონული განვითარების ფონდისთვის, ევროპის სოციალური ფონდისთვის, შეკავშირების ფონდისთვის, ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდისთვის, ასევე ევროპის საზღვაო და თევზჭერის ფონდისთვის, აწესებს ზოგად დებულებებს ევროპის რეგიონული განვითარების ფონდისთვის, ევროპის სოციალური ფონდისთვის, შეკავშირების ფონდისთვის, ევროპის საზღვაო და თევზჭერის ფონდისთვის, ასევე ძალდაკარგულად აცხადებს ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტს 1083/2006;
ევროკავშირის საკანონმდებლო უწყებანი L 347, 20.12.2013 წ.
- კომისიის 2014 წლის 18 თებერვლის აღმასრულებელი გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს იმ რეგიონების ნუსხას, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს დაფინანსება ევროკავშირის რეგიონული განვითარების ფონდიდან და ევროპის სოციალური ფონდიდან, ასევე იმ სახელმწიფოების ნუსხას, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ დაფინანსება შეკავშირების ფონდიდან 2014-2020წლებში (ნოტიფიცირებულია როგორც დოკუმენტი C(2014) 974) (2014/99/UE);
ევროკავშირის საკანონმდებლო უწყებანი L 50, 20.02.2014 წ.

3. დოკუმენტები და სახელმძღვანელოები

სტატისტიკური ვალდებულებების კონსპექტი

- დომენი 4 „ეკონომიკური და სოციალური შედეგები” – მოდული 4.1.23 „რეგიონული ანგარიშები”, (გამოცემა 2014),
- Statistical requirements compendium – 2014 edition (Priority area 04 – Economic and social performance; Module 04.1.23 – Regional accounts).

<http://ec.europa.eu/eurostat/web/products-manuals-and-guidelines/-/KS-GQ-13-008>

ESA 2010-ის ანგარიშების სახელმძღვანელო

- European system of accounts – ESA 2010.

<http://ec.europa.eu/eurostat/en/web/products-manuals-and-guidelines/-/KS-02-13-269>

რეგიონული ანგარიშების სახელმძღვანელო

- Manual on regional accounts methods – 2013 edition.

<http://ec.europa.eu/eurostat/web/products-manuals-and-guidelines/-/KS-GQ-13-001>

სახელმძღვანელო ESA 1995-სა და ESA 2010-ს შორის განსხვავებების შესახებ

- Manual on the changes between ESA 95 and ESA 2010 – 2014 edition.

<http://ec.europa.eu/eurostat/en/web/products-manuals-and-guidelines/-/KS-GQ-14-002>

სახელმძღვანელო ფასების და მოცულობის საზომების შესახებ

- Handbook on price and volume measures in national accounts (revised).

<http://ec.europa.eu/eurostat/en/web/products-manuals-and-guidelines/-/KS-41-01-543>

4. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის სავალდებულო რეგიონული ანგარიშების ფარგლები

- ევროსტატისთვის მონაცემების გადაცემის დეტალურ ფარგლებს და გრაფიკს განსაზღვრავს რეგლამენტის დანართი B, რომელიც ცხრილების სახეს ატარებს და წარმოადგენს „ESA 2010-ის ტრანსმისიის პროგრამას“. სამი ცხრილი ეხება რეგიონულ ანგარიშებს.
- ევროსტატს რეგიონული ანგარიშების მონაცემები გადაეცემა ყოველწლიური პერიოდულობით შემდეგი ცხრილების მეშვეობით:

ცხრილი 10 – ცხრილი დარგებისა და რეგიონების მიხედვით (NUTS დონე 2)

კოდი	ცვლადების ჩამონათვალი	დაყოფა
B.1g	1. მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზო ფასებში (მოცულობის ზრდის მაჩვენებელი წინა წლის ფასებში) ⁽¹⁾	
B.1g	2. მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზო ფასებში (მიმდინარე ფასები) ⁽²⁾	A*10
D.1	3. დასაქმებასთან დაკავშირებული ხარჯები (მიმდინარე ფასები)	A*10
P.51g	4. ძირითად საშუალებებზე გაწეული მთლიანი დანახარჯები (მიმდინარე ფასები)	მA*10
	5. დასაქმებული ⁽²⁾ ⁽³⁾ გამოხატული ათას კაცში და ათას გამომუშავებულ საათში	
ETO	- ჯამში ⁽²⁾ ⁽³⁾	A*10
EEM	- დაქირავებული თანამშრომლები ⁽³⁾	A*10
POP	6. მოსახლეობა გამოხატული ათას კაცში ⁽⁴⁾	

⁽¹⁾ 2016 წლამდე მონაცემების გადაცემა ნებაყოფლობითაა. 2017 წლიდან გადაეცემა ვადაში $t + 24$ თვე – სავალდებულო, ხოლო ვადაში $t + 12$ თვე – ნებაყოფლობით.

⁽²⁾ მთლიანი დამატებული ღირებულება ჯამში და დასაქმებული ჯამში გამოხატული ათას კაცში: მონაცემების გადაცემა ვადაში $t + 12$ თვე.

დასაქმებულები ჯამში გამოხატული გამომუშავებული საათებში, დასაქმებულები გამოხატული რაოდენობით (კაცი) და გამომუშავებულ საათებში დაყოფა A*10, მთლიანი დამატებული ღირებულების დაყოფა A*10: მონაცემები გადაეცემა ვადაში $t + 24$ თვე.

⁽³⁾ დასაქმებული და დაქირავებული თანამშრომლები: რეზიდენტ საწარმოო ერთეულებში დასაქმებული რეზიდენტები და არარეზიდენტები (ეროვნული კონცეფცია, DC).

⁽⁴⁾ მონაცემების გადაცემა ვადაში $t + 12$ თვე – სავალდებულო.

ცხრილი 12 – ცხრილები დარგებისა და რეგიონების მიხედვით (NUTS დონე 3)

კოდი	ცვლადების ჩამონათვალი	დაყოფა ⁽¹⁾
B1.g	1. მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზო ფასებში (მიმდინარე ფასები)	A*10
ETO	2. დასაქმებული ⁽²⁾ (ათასი კაცი) - ჯამში	A*10
EEM	- დაქირავებული თანამშრომლები	A*10
POP	3. მოსახლეობა (ათასი კაცი)	

⁽¹⁾ შესაძლებელია შემდეგი აგრეგირებული დაყოფა A*10 პოზიციების გამოყენება NACE Rev. 2-ის მიხედვით:

- (G, H, I და J) ნაცვლად (G, H და I) და (J);
- (K, L, M და N) ნაცვლად (K), (L) ასევე (M i N);
- (O, P, Q, R, S, T და U) ნაცვლად (O, P და Q) ასევე (R, S, T და U).

⁽²⁾ დასაქმებული და დაქირავებული თანამშრომლები: რეზიდენტ საწარმოო ერთეულებში დასაქმებული რეზიდენტები და არარეზიდენტები (ეროვნული კონცეფცია, DC).

ცხრილი 13 – შინამეურნეობების სექტორის ანგარიშები რეგიონების მიხედვით (NUTS დონე 2)

შინამეურნეობების შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში (S.14)			
კოდი	ხარჯები	კოდი	შემოსავლები
D.4	1. საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავალი	B.2n/B.3n	3. ოპერაციული ნამატი ნეტო /შერეული შემოსავალი
B.5n	2. პირველადი შემოსავლების სალდო ნეტო	D.1	4. დასაქმებასთან დაკავშირებული ხარჯები
		D.4	5. საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავალი
შინამეურნეობების შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში (S.14)			
კოდი	ხარჯები	კოდი	შემოსავლები
D.5	6. საშემოსავლო, ქონების და აშ. მიმდინარე გადასახადები	B.5	10. პირველადი შემოსავლების სალდო ნეტო
D.61	7. სოციალური დაზღვევის შენატანი ნეტო	D.62	11. სოციალური სერვისები სხვა ვიდრე სოციალური ტრანსფერი ნატურით
D.7	8. დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები	D.7	12. დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები
B.6n	9. განკარგვადი შემოსავალი ნეტო		
შინამეურნეობების მოხმარება (S.14)			
P.3	13. შინამეურნეობების მოხმარება ⁽¹⁾		

⁽¹⁾ მონაცემების გადაცემა ნებაყოფლობითია.

5. ნომენკლატურები და კლასიფიკაციები

ტერიტორიული ერთეულების კლასიფიკაცია სტატისტიკური მიზნებისთვის (NUTS)

- ევროკავშირში სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, შემუშავების და გავრცელების ინსტრუმენტი,
- უზრუნველყოფს რეგიონული სტატისტიკის მონაცემების, მათ შორის რეგიონული ანგარიშების შედარებითობას,
- ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეს ყოფს ტერიტორიულ ერთეულებად,
- წარმოადგენს სამსაფეხურიან იერარქიულ კლასიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ადმინისტრაციულ დაყოფას,
- ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფო დაყოფილია სამი დონის ტერიტორიულ ერთეულებად – NUTS 1, NUTS 2, NUTS 3,
- თითოეულ ტერიტორიულ ერთეულს განესაზღვრა კოდი და დასახელება,
- წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური ანგარიშების, სოფლის მეურნეობის რეგიონული სტატისტიკის და რეგიონული სტატისტიკის სხვა დარგების განვითარების საფუძველს,
- გამოიყენება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის,
- აუცილებელია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ანალიზების წარმოებისთვის - შიდა რეგიონული განსხვავებების შეფასების და რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავების კუთხით.

კლასიფიკაციის სტრუქტურა და კრიტერიუმები

- ტერიტორიული ერთეულების განსაზღვრისთვის პირველ კრიტერიუმს წარმოადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულები. დამატებით კრიტერიუმს წარმოადგენს გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ბუნებრივი გარემოს ფაქტორები,
- NUTS-ის შესაბამისი დონის განსაზღვრის მიზნით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ადმინისტრაციული ერთეულების მოცემული კლასისთვის გამოიყენება დასახლების კრიტერიუმი,
- მოცემული კლასის ადმინისტრაციული ერთეულის საშუალო სიდიდე უნდა ჯდებოდეს ქვემოთ მოცემული დასახლების ფარგლებში:

დონე	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი
NUTS 1	3 მილიონი	7 მილიონი
NUTS 2	800 000	3 მილიონი
NUTS 3	150 000	800 000

- იმ შემთხვევაში, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობა NUTS-ის მოცემული დონის ქვედა ზღვარზე დაბალია, მთლიანი სახელმწიფოს მონაცემები აღიქმება როგორც მოცემული დონის ტერიტორიული ერთეული,
- იმ შემთხვევაში, როდესაც NUTS-ის მოცემულ დონეზე მოცემულ სახელმწიფოში არ არსებობს დადგენილი მოსახლეობის რაოდენობის კრიტერიუმის შესაბამისი სიდიდის ადმინისტრაციული ერთეულები, სათანადო დონის ერთეული იქმნება არსებული, მომიჯნავე მცირე ადმინისტრაციული ერთეულების გაერთიანებით,
- გაერთიანებისას მხედველობაში მიიღება გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული ან ბუნებრივი გარემოს ფაქტორები,
- გაერთიანებულ ერთეულებს „არაადმინისტრაციული ერთეულები ეწოდება“, რომელთა სიდიდეც უნდა შეესაბამებოდეს NUTS-ის მოცემული დონისთვის დადგენილ ფარგლებს,
- განსაკუთრებული ფაქტორებიდან გამომდინარე, ზოგიერთი არაადმინისტრაციული ერთეული შეიძლება არ ჯდებოდეს დადგენილ ფარგლებში,
- მოცემული ტერიტორიული ერთეული შეიძლება წარმოადგენდეს NUTS-ის რამდენიმე დონეს,
- NUTS-ის ერთი და იგივე დონეზე ორი ტერიტორიული ერთეული არ შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნას ერთი და იგივე დასახელებით,
- თუ ორი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულს აქვს ერთნაირი დასახელება, მაშინ ტერიტორიული ერთეულის დასახელების წინ ემატება ქვეყნის სიმბოლო,
- ყველა წევრ სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს დამატებითი, იერარქიული დაყოფა NUTS 3 დონის დასაზუსტებლად.

ESA 2010-ის [13.12.] პუნქტის თანახმად:

კლასიფიკაცია NUTS უზრუნველყოფს ევროკავშირის ეკონომიკური ტერიტორიის ერთმნიშვნელოვან და ერთიან დაყოფას. ეროვნული მიზნებისთვის, რეგიონული ანგარიშების შემუშავება შესაძლებელია ასევე უფრო დეტალურ რეგიონულ დონეზე.

NACE Rev. 2

- ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური კლასიფიკაცია ევროკავშირის ევროკავშირის (Statistical Classification of Economic Activities in the European Community NACE Rev. 2),
- ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის სახეების ერთობლიობების პირობითი, იერარქიულად სისტემაში მოყვანილი დაყოფა,
- წარმოადგენს ეკონომიკური კლასიფიკაციის საფუძველს (მას ეფუძნება სხვა კლასიფიკაციები),
- კლასიფიკაცია გამოიყენება, მათ შორის:
 - ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის წარმოდგენისთვის, შრომის სოციალური განაწილების პერსპექტივიდან გამომდინარე,
 - სტატისტიკური მონაცემების რიგების შეჯერებისთვის, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ეკონომიკური განვითარების ანალიზის მიზნებისთვის,
 - ეროვნული ეკონომიკის ბალანსების შემუშავებისთვის, მათ შორის ინტეგრირებული ეროვნული ანგარიშებისთვის,
 - საერთაშორისო შედარებების შედგენისთვის.

NACE Rev. 2-ის სტრუქტურა და კოდირება

- პირველი დონე – სექცია – აღინიშნება ანბანური ასოთი. მთლიანი კრებული დაყოფილია საქმიანობის სახეების 21 დაჯგუფებად, რომლებშიც შედის ტრადიციულად ჩამოყალიბებული შრომის განაწილების თავალსაზრისით, ერთმანეთთან დაკავშირებული საქმიანობები;
- მეორე დონე – განყოფილება – აღინიშნება ორციფრა ნუმერაციული კოდით. მთლიანი კრებული დაყოფილია საქმიანობის სახეების 88 დაჯგუფებად, რომლებშიც შედის ქმედებები როგორც მსგავსებების ნიშნით, ასევე ეროვნულ ეკონომიკაში ურთიერთკავშირების ნიშნით (მაგ. დარგთაშორისი დინებები ცხრილებში);

- მესამე დონე – ჯგუფი – აღინიშნება სამციფრა ნუმერაციული კოდით და მოიცავს საქმიანობის სახეების 272 დაჯგუფებას, რომელთა გამოყოფაც შესაძლებელია წარმოების პროცესის, ნაწარმის დანიშნულების ან მომსახურების ხასიათის ან მომსახურების მიმღების ხასიათის თვალსაზრისით;
- მეოთხე დონე – კლასი – აღინიშნება ოთხციფრა ნუმერაციული კოდით, მოიცავს საქმიანობის სახეების 615 დაჯგუფებას, რომელთა გამოყოფაც შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, წარმოების პროცესის ან მომსახურების სპეციალიზაციის ნიშნებით.

რეგიონულ ანგარიშებში ძირითად დაჯგუფებას წარმოადგენს ჭრილი A*10:

№	სექციები NACE Rev. 2	აღწერა
1	A	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზჭერა
2	B, C, D და E	სამთო მოპოვება; სამრეწველო გადამუშავება; ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლის და კონდიციონერების სისტემებისთვის აირის წარმოება და მომარაგება; წყალმომარაგება; ნარჩენების და ჩამდინარე წყლების მართვა, ასევე რეკულტივირებასთან დაკავშირებული საქმიანობა
2a	C	მათ შორის: სამრეწველო გადამუშავება
3	F	მშენებლობა
4	G, H და I	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომანქანების და მოტოციკლეტების რემონტი; ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა; დაბინავებასთან და საზოგადოებრივ კვებასთან დაკავშირებული საქმიანობა
5	J	ინფორმატიკა და კომუნიკაცია
6	K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა
7	L	უძრავი ქონების ბაზრის მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა
8	M და N	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა; ადმინისტრირებასთან და ხელშეწყობასთან დაკავშირებული საქმიანობა
9	O, P, და Q	საჯარო ადმინისტრაცია და ეროვნული თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაზღვევა; განათლება; ჯანდაცვა და სოციალური დახმარება
10	R, S, T და U	კულტურასთან, გართობასთან და დასვენებასთან დაკავშირებული საქმიანობა; დანარჩენი მომსახურება; დასაქმებული თანამშრომლების მქონე შინამეურნეობები; შინამეურნეობები, რომლებიც აწარმოებენ ნაწარმს და მომსახურებას საკუთარი საბოლოო მიზნებისთვის; ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ჯგუფები

6. რეგიონის ცნება

რეგიონის ეკონომიკა ქვეყნის ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკის ტერიტორია მოიცავს:

- რეგიონებს,
- რეგიონის გარე ტერიტორიას (ekstra-regio).

ESA 2010-ის [13.09.] პუნქტის თანახმად:

მოცემული ქვეყნის რეგიონული ეკონომიკა წარმოადგენს ამ ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის ნაწილს. მთლიანი ეკონომიკა განისაზღვრება ერთეულების და ინსტიტუციონალური სექტორების კატეგორიებით. მასში შედის ყველა ინსტიტუციონალური ერთეული, რომელთა ეკონომიკური ინტერესის მთავარი ცენტრი მდებარეობს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე (იხ. პუნქტი 2.04). ეკონომიკური ტერიტორია ზუსტად არ ემთხვევა გეოგრაფიულ ტერიტორიას (იხ. პუნქტი 2.05). ეკონომიკური ტერიტორია იყოფა რეგიონულ და რეგიონის გარე ტერიტორიებად.

რეგიონი არის ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გეოგრაფიულად გამოყოფილი ნაწილი, რომელსაც ახასიათებს სამუშაო ძალის, კაპიტალის და შემოსავლების თავისუფალი დინება.

ESA 2010-ის [13.10.] პუნქტის თანახმად:

რეგიონული ტერიტორია მოიცავს ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის ნაწილს, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება რეგიონს, მათ შორის ყველა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, საბაჟო საწყობები და საწარმოები.

რეგიონის გარე ტერიტორია შედგება ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიისგან, რომელიც არ უკავშირდება რომელიმე ცალკე რეგიონს. რეგიონის გარე ტერიტორია მოიცავს:

- ეროვნულ საჰაერო სივრცეს, შიდა წყლებს და საერთაშორისო წყლებში არსებულ კონტინენტურ შეღფს, რომლის მიმართაც მოცემულ ქვეყანას აქვს ექსკლუზიური უფლებები,
- ტერიტორიული ექსკლავები, ანუ მოცემული ქვეყნის საზღვრებს გარეთ მდებარე გეოგრაფიული ტერიტორია, რომელსაც იყენებენ მოცემული ქვეყნის სამთავრობო სააგენტოები, საერთაშორისო ან ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე (საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები, სამეცნიერო ბაზები და აშ.),
- რეზიდენტი ერთეულების ექსპლოატირებული საერთაშორისო წყლებში ან მოცემული ქვეყნის კონტინენტური შეღფის გარეთ მდებარე ნავთობის, ბუნებრივი აირის და სხვა რესურსების მოპოვების ადგილები.

ESA 2010-ის [13.24.] პუნქტის თანახმად:

რეგიონული ანგარიშები ეფუძნება მოცემული რეგიონის რეზიდენტი ერთეულების ტრანზაქციებს.

7. ერთეულები და მათი დაჯგუფება

ინსტიტუციონალური ერთეული

- ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში,
- სუბიექტი, რომელიც ეწევა საწარმოო საქმიანობას და რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი საქმიანობის შესახებ, ასევე აწარმოებს სრულ ბუღალტერიას.

ინსტიტუციონალური სექტორები

- ინსტიტუციონალური ერთეულების ჯგუფები, რომელიც გამოყოფილია ქვევების ტიპების, განსხვავებული ეკონომიკური მიზნების და წარმოების და განაწილების პროცესში განსხვავებული ფუნქციების ნიშნით,
- ეროვნული ეკონომიკის მოცემული ერთეულის ინსტიტუციონალურ სექტორში ჩათვლის კრიტერიუმებია: ფუნქცია ეროვნულ ეკონომიკაში, ახალი ეკონომიკური ღირებულების ფორმირებისთვის განხორციელებული ქმედებების სახე და შემოსავლების გადანაწილებაში მონაწილეობის ფორმა,
- გამოვარჩევთ ხუთ შიდა ინსტიტუციონალურ სექტორს:
 - არასაფინანსო საწარმოები,
 - საფინანსო ინსტიტუციები,
 - სამთავრობო და მუნიციპალური ინსტიტუციები,
 - შინამეურნეობები,
 - შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები,
- ჩამოთვლილი ხუთი ინსტიტუციონალური სექტორი ქმნის ქვეყნის მთლიან ეროვნულ ეკონომიკას,
- ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოვარჩევთ ასევე საზღვარგარეთის სექტორს,
- ინსტიტუციონალური სექტორები იყოფა ინსტიტუციონალურ ქვესექტორებად.

საწარმო

- ორგანიზაციული ერთეული, რომელიც აწარმოებს ნაწარმს ან გასწევს მომსახურებას ბაზარზე, ფლობს გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ დამოუკიდებლობას, განსაკუთრებით საკუთარი სახსრების ალოკაციის სფეროში; ეწევა ერთ ან მეტ საქმიანობის სახეს ერთ ან მეტ ადგილზე.

ESA 2010-ის [13.17.] პუნქტის თანახმად:

საწარმოებს შეუძლიათ ეწოდნენ საწარმოო საქმიანობას ერთზე მეტ ადგილზე, ხოლო რეგიონულ ანგარიშებში საჭიროა საქმიანობის აღრიცხვა ადგილმდებარეობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოები დაყოფილია ადგილმდებარეობების მიხედვით, გამოყოფილ ნაწილებს „ადგილობრივი ერთეულები“ ეწოდება.

ადგილობრივი ერთეული

- საწარმო ან მისი ნაწილი, რომელიც მდებარეობს გეოგრაფიულად იდენტიფიცირებად ტერიტორიაზე, რომელიც განისაზღვრება მისამართით; ამ ადგილიდან ან ამ ადგილზე, მოცემული საწარმოსთვის ეწევა საქმიანობას სულ მცირე ერთი ან მეტი პროცენა (არასრული განაკვეთითაც კი) – გარდა გარკვეული გამონაკლისებისა.

საქმიანობის სახის ერთეული

- თავს უყრის საწარმოს ყველა ნაწილს (განურჩევლად მათი ადგილმდებარეობისა), რომელიც აწარმოებს ერთი და იგივე სახის ნაწარმს ან ეწევა ერთნაირ მომსახურებას – NACE Rev. 2-ის კლასის დონეზე – ან იყენებს წარმოების იდენტურ პროცესს; ყველა საწარმოს აქვს სულ მცირე ერთი საქმიანობის სახის ერთეული.

საქმიანობის სახის ადგილობრივი ერთეული

- საქმიანობის სახის ერთეულის ნაწილი ადგილობრივი ერთეულის დონეზე. შესაბამისად, ეს არის საწარმოს ნაწილი, რომელიც გეოგრაფიულად მდებარეობს განცალკევებულ ადგილზე (რომელიც განისაზღვრება მისამართით), რომელიც აწარმოებს ერთ ან რამდენიმე სახის საქმიანობას, ხოლო მისი კლასიფიკაციისთვის გადამწყვეტია NACE Rev. 2-ით განსაზღვრული დომინირებული საქმიანობა.

ESA 2010-ის [13.19.] პუნქტის თანახმად:

საქმიანობის სახის ადგილობრივი ერთეული წარმოადგენს საქმიანობის სახის ერთეულის ნაწილს, რომელიც შეესაბამება ადგილობრივ ერთულს. თუ საქმიანობის სახის ერთეული სამწრფეველო საქმიანობას ეწევა რამდენიმე რეგიონში, ამ შემთხვევაში მის შესახებ ინფორმაცია დაიყოფა რეგიონული ანგარიშების მიღების მიზნით. ამგვარი დაყოფისთვის საჭიროა ინფორმაცია დასაქმებასთან დაკავშირებული დანახარჯების შესახებ, ხოლო თუ ასეთი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი – გამოვიყენებთ ინფორმაციას დასაქმებულების და ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯების შესახებ. ერთი ადგილმდებარეობის მქონე საწარმოების შემთხვევაში, სადაც დომინანტ საქმიანობას აქვს ყველაზე დიდი წილი დამატებული ღირებულების ფორმირებაში, საქმიანობის სახის ადგილობრივი ერთეული საწარმოს ტოლფასია.

ერთგვაროვანი წარმოების ერთეული

- ერთეული, რომელიც ეწევა ერთი სახის საქმიანობას, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს ერთი სახის გამოყენებული მასალებით და რესურსებით, ერთნაირი საწარმოო პროცესით და გამომუშავებული ნაწარმით (ე.წ. ჰომოგენური ერთეული).

ერთგვაროვანი წარმოების ადგილობრივი ერთეული

- ერთგვაროვანი ერთეულის ნაწილი ადგილობრივი ერთეულის დონეზე.

ESA 2010-ის [13.13.] პუნქტის თანახმად:

ეროვნულ ეკონომიკაში გამოვარჩევთ ერთეულების ორ სახეობას. პირველი არის ინსტიტუციონალური ერთეულები, რომლებიც ასახავენ შემოსავლის ფორმირებაზე, კაპიტალზე და ფინანსურ ტრანზაქციებზე, ასევე სხვა დინებებზე და ბალანსებზე გავლენის მქონე ტრანზაქციებს. მეორე არის საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულები, რომლებიც ასახავენ ტრანზაქციებს, რომელთაც ადგილი აქვთ წარმოების პროცესში, ასევე ნაწარმისა და მომსახურების გამოყენებისას.

8. ტრანზაქციები

- ეროვნულ ანგარიშებში მაკროეკონომიკური კატეგორიები ჩამოთვლილია ერთმანეთთან დაკავშირებული თანმიმდევრული ანგარიშების სახით, რომელიც ასახავს ეკონომიკის მონაწილეთა შემოსავლებისა და ხარჯების დინებას, ფინანსურ დინებებს ეკონომიკაში და ეროვნულ ეკონომიკასა და საზღვარგარეთს შორის საქონლის მიმოქცევას (ნაწარმის და მომსახურების). მიმოქცევის ყველა ეს სახე გამოხატულია ღირებულებაში და ასახავს ეკონომიკის ერთეულების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ ქმედებებს – წარმოებას, მოხმარებას, ინვესტირებას და აშ. ამ ქმედებებს ვუწოდებთ ტრანზაქციებს.
- ანგარიშთა სისტემაში გამოვყოფთ ტრანზაქციების შემდეგ სახეებს:
 - ნაწარმთან დაკავშირებული ტრანზაქციები (საქონელი და მომსახურება) – წარმოება, გაცვლა, პროდუქტების მოხმარება,
 - განაწილების ტრანზაქციები – შიდა ან საზღვარგარეთის ერთეულების მიერ გამომუშავებული დამატებული ღირებულების განაწილება (ამ ჯგუფში მოიაზრება ასევე შემოსავლებისა და ქონების რედისტრიბუციის ტრანზაქციები),
 - ფინანსური ტრანზაქციები – დაკავშირებულია ინსტიტუციონალურ სექტორებში ფინანსური აქტივების და პასივების ცვლილებებთან.

ნაწარმთან დაკავშირებული ტრანზაქციები (საქონელი და მომსახურება)

- P.1 მთლიანი გამოშვება
 - P.2 შუალედური მოხმარება
 - P.3 მოხმარება
- მათ შორის P.31 ინდივიდუალური მოხმარება

დამაბალანსებელი პოზიციები:

- B.1 გ მთლიანი დამატებული ღირებულება / მთლიანი შიდა პროდუქტი

განაწილების ტრანზაქციები

- D.1 დასაქმებასთან დაკავშირებული დანახარჯები
- D.2 წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადები
- D.3 დოტაციები
- D.4 საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავლები

- D.5 მიმდინარე საშემოსავლო, ქონების და სხვა გადასახადები
- D.6 შენატანი სოციალური დაზღვევისთვის და სოციალური სერვისებისთვის
- D.7 დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები

D.1 დამსაქმებასთან დაკავშირებული დანახარჯები

- D.11 შრომის ანაზღაურება
- D.12 დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური საზღვევის გადასახადი

D.2 წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადები

- D.21 გადასახადი პროდუქციაზე
- D.29 წარმოებასთან დაკავშირებული დანარჩენი გადასახადები

D.3 დოტაციები

- D.31 დოტაციები პროდუქციაზე
- D.39 წარმოებასთან დაკავშირებული დანარჩენი დოტაციები

D.4 საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავლები

- D.41 პროცენტული სარგებელი
- D.42 საწარმოების და ფინანსური ინსტიტუციების განაწილებული შემოსავალი
- D.43 რეინვესტირებული შემოსავლები უშუალოდ უცხოური ინვესტიციებისა
- D.44 სხვა შემოსავლების ინვესტიციებიდან
- D.45 მიწის იჯარა

D.5 მიმდინარე საშემოსავლო, ქონების და სხვა გადასახადები

- D.51 საშემოსავლო გადასახადი
- D.59 სხვა მიმდინარე გადასახადები

D.6 შენატანი სოციალური დაზღვევისთვის და სოციალური სერვისებისთვის

- D.61 სოციალური გადასახადის შენატანი ნეტო
- D.62 სოციალური სერვისების გარდა სოციალური ტრანსფერები ნატურით
- D.63 სოციალური ტრანსფერები ნატურით

D.61 სოციალური გადასახადის შენატანი ნეტო

- D.611 დამსაქმებლის მიერ ფაქტიურად გადახდილი სოციალური გადასახადის შენატანი
- D.612 დამსაქმებლის მიერ გადახდილი პირობითად განსაზღვრული სოციალური გადასახადის შენატანი
- D.613 შინამეურნეობების მიერ ფაქტიურად გადახდილი სოციალური გადასახადის შენატანი

- D.614 შინამეურნეობების მეორე სოციალური გადასახადის შენატანის დამატებითი გადასახადი

D.62 სოციალური სერვისების გარდა სოციალური ტრანსფერებისა ნატურით

- D.621 ფულადი სოციალური სერვისის სოციალური უზრუნველყოფიდან
- D.622 დანარჩენი სერვისები სოციალური დაზღვევიდან
- D.623 ფულადი სოციალური სერვისის სოციალური დახმარებიდან

D.7 დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები

- D.71 საკუთარი წილის შენატანი სხვა დანარჩენი პირადი და ქონებრივი დაზღვევიდან
- D.72 დანარჩენი პირადი და წილების დაზღვევიდან მიღებული კომპენსაცია და სერვისები
- D.74 მიმდინარე საერთაშორისო თანამშრომლობა
- D.75 სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერები

დამაბალანსებელი პოზიციები

- B.2g მთლიანი ოპერაციული ნამატი
- B.2n ოპერაციული ნამატი ნეტო
- B.3g მთლიანი შერეული შემოსავალი
- B.3n შერეული შემოსავალი ნეტო
- B.5g მთლიანი პირველადი შემოსავლების სალდო
- B.5n პირველადი შემოსავლების სალდო ნეტო
- B.6g მთლიანი განკარგვადი შემოსავალი
- B.6n განკარგვადი შემოსავალი ნეტო

ტრანზაქციების აღრიცხვის წესები

- ორმაგი გატარების პრინციპი – ყველა ტრანზაქცია უნდა აღრიცხოს ორჯერ – ერთხელ როგორც შემოსავალი (ან პასივების ცვლილება) და მეორეჯერ როგორც დანახარჯი (ან აქტივების ცვლილება); ერთი და იგივე ტრანზაქციის აღრიცხვისას შემოსავალი და გასავალი უნდა იყოს ერთმანეთის ტოლი,
- მოცემული ანგარიში ყველა მბალანსებელი პოზიცია (გასავალის მხარეს) იმავდროულად წარმოადგენს შემდეგ ანგარიშში გამხსნელ პოზიციას (როგორც შემოსავალი).

9. ღირებულების განსაზღვრა

- ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც ანგარიშებში არსებული ყველა პოზიცია აღირიცხება მიმდინარე გაცვლითი ღირებულების სახით, რომელიც გამოხატულია ფულად ერთეულში, ანუ იმ ღირებულების სახით, რომელშიც ნაწარმი და მომსახურება, შრომის ძალა ან სხვა აქტივები რეალურად გაიცვლება ან გაიცვლებოდა ფულად სახსრებზე (ნაღდ ფულზე ან გასხვისებად დეპოზიტებზე).
- ფულადი ერთეული არის საერთო ელემენტი, რომლიც გამოყენებაც შესაძლებელია ანგარიშებში სხვადასხვა ტრანზაქციების აღრიცხვისთვის, ასევე მათში მახალანსირებელი პოზიციების ჩართვისთვის.
- საბაზრო ღირებულების განსაზღვრა ნიშნავს შესაბამისი ტრანზაქციების აღრიცხვას ნაწარმისა და მომსახურების მიმდინარე საბაზრო ღირებულების მიხედვით, რომელშიც ინსტიტუციონალური ერთეულები იძენენ ფულადი სახსრების სანაცვლოდ.
- იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული ტრანზაქციების საბაზრო ღირებულება არ არის უშუალოდ ცნობილი, საჭიროა მათი ღირებულების ირიბად შეფასება, მაგალითად მსგავსი პროდუქტების საბაზრო ფასების მიხედვით. პოგიერთი საბაზრო ნაწარმი და მომსახურება არ წარმოადგენს ბრუნვის საგანს ბაზარზე. ამ შემთხვევაში მათი შეფასება შესაძლებელია მათი წარმოების მიმდინარე დანახარჯების მიხედვით. მწარმოებლის საკუთარი მიზნებისთვის გამომუშავებული ნაწარმის შეფასება ხდება მათი გამოშვების დანახარჯების მიხედვით, ამასთან უნდა მოიცავდეს ღირებულების ნამატს, რომელიც იქნებოდა მწარმოებლის მოგება.
- არასაბაზრო ღირებულების განსაზღვრა ნიშნავს სამთავრობო და მუნიციპალური ინსტიტუციების ან არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გამოშვებული არასაბაზრო ნაწარმისა და მომსახურების ღირებულების განსაზღვრას მათი წარმოების დანახარჯების მიხედვით, ყოველგვარი ორპერაციული ნამატის გათვალისწინების გარეშე.

შეძენის ფასი

- ფულადი თანხა, რომელიც ეკუთვნის გამყიდველს პროდუქტის (ნაწარმის ან მომსახურების) ერთეულის საფასურად, გამოკლებული დღგ გადასახადი და შესაძლო ფასდაკლება, დამატებული მყიდველის მიერ გაწეული დანახარჯები ნაწარმის სათანადო დროს და ადგილზე ტრანსპორტირების მიზნით.

საბაზისო ფასი

- მწარმოებლის (მათ შორის სავაჭრო ერთეულის) მიერ მყიდველისგან მიღებული ფულადი სახსრები პროდუქტის (ნაწარმი ან მომსახურება) სანაცვლოდ, გამოკლებული პროდუქტზე დაწესებული გადასახადი და შესაძლო ფასდაკლებები, დამატებული დოტაცია, რომელიც მიიღო მოცემულ პროდუქტზე. შესაბამისად, ეს არის თანხა, რომელიც ფაქტიურად არის განკარგვადი მწარმოებლისთვის.

საბაზრო ფასი

- პროდუქტის სხვა ინსტიტუციონალური ერთეულებისთვის მიყიდვის საბაზრო ფასი,
 - მოიცავს მოცემულ პროდუქტზე დაწესებულ გადასახადს (ამ კომპონენტის სიდიდით განსხვავდება საბაზო ფასისგან),
 - საბაზო ფასზე დაბალია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც არის მიღებული დოტაცია მოცემულ პროდუქტზე,
 - საბაზრო ფასი არის სარეალიზაციო ფასი, ანუ ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციებში მიღებული ფასი.
- მთლიანი გამოშვების ღირებულების განსაზღვრა ხდება საბაზო ფასებში.
- საკუთარი საბოლოო მიზნებისთვის მთლიანი გამოშვების ღირებულების განსაზღვრა ხდება ბაზარზე გაყიდული მსგავსი პროდუქტების საბაზო ფასების მიხედვით, ან ასეთი ფასების ნაკლებობის შემთხვევაში – გამოშვების დანახარჯების მიხედვით.
- არასაბაზრო მთლიანი გამოშვების ღირებულების განსაზღვრა ხდება წარმოების ხარჯების მიხედვით.

- შუალედური მოხმარების ღირებულების შეფასება ხდება შეძენის ფასებში. ერთი საწარმოს ტერიტორიული ერთეულის ნაწარმისა და მომსახურების ღირებულების განსაზღვრა ხდება მოცემული ტერიტორიული ერთეულის ნაწარმის ღირებულების შესაბამისად, დამატებით შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნას სხვა გარე ერთეულის მიერ განხორციელებული ტრანსპორტის დანახარჯები.
- მთლიანი დამატებული ღირებულების გაანგარიშება ხდება საბაზო ფასებში გამოხატული მთლიანი გამოშვების ღირებულებას შეძენის ფასებში გამოხატული შუალედური მოხმარების გამოკლებით. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მთლიანი დამატებული ღირებულების განსაზღვრა ხდება იმ ფასების მიხედვით, რომელსაც ვიყენებთ მთლიანი გამოშვების ღირებულების შეფასებისას, ანუ საბაზო ფასების მიხედვით.
- მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების განსაზღვრა ხდება საბაზრო ფასებში. მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების განსაზღვრისას (წარმოების მხრიდან) ჯამდება საბაზო ფასებში გამოხატული მთლიანი დამატებული ღირებულება და პროდუქციაზე დაწესებული გადასახადები და გამოაკლდება დოტაციები პროდუქციაზე. ამით საბაზრო ფასებამდე მივალთ.

10. რეგიონულ დონეზე შედგენილი ანგარიშები

წარმოების ანგარიში

მოიცავს საწარმო საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებულ ტრანზაქციებს. შემოსავლების მხარეს აღირიცხება მთლიანი გამოშვება (გამომუშავებული ნაწარმისა და მომსახურების ღირებულება), ხოლო გასავლის მხარეს - შუალედური მოხმარება (წარმოების პროცესში გამოყენებული ნაწარმი და მომსახურება). დამაბალანსებელ პოზიციას წარმოადგენს მთლიანი დამატებული ღირებულება ინსტიტუციონალურ სექტორებში, ასევე ეროვნული ეკონომიკის მთლიანი შიდა პროდუქტი - პროდუქტზე გადასახადების და დოტაციების გათვალისწინების შემდეგ.

წარმოების ანგარიშის სქემა

გასავალი	შემოსავალი
P.2 შუალედური მოხმარება	P.1 მთლიანი გამოშვება P.11 საბაზრო მთლიანი გამოშვება P.12 გამოშვება საკუთარი საბოლოო მიზნებისთვის P.13 არასაბაზრო მთლიანი გამოშვება
B.1g მთლიანი დამატებული ღირებულება / მთლიანი შიდა პროდუქტი	D.21/D.31 გადასახადს პროდუქციაზე მინუს დოტაციები პროდუქციაზე

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

წარმოადგენს უშუალოდ წარმოების პროცესთან დაკავშირებულ შემოსავლებს ცალკეულ ინსტიტუციონალურ სექტორებში და ეროვნულ ეკონომიკაში. შემოსავალს წარმოადგენს წარმოების ანგარიშის დამაბალანსებელი პოზიცია, ანუ შიდა ინსტიტუციონალური სექტორების მთლიანი დამატებული ღირებულება და ეროვნული ეკონომიკის მთლიანი შიდა პროდუქტი. გასავლის მხარეს აღირიცხება

დასაქმებასთან დაკავშირებული დანახარჯები, დასაქმებასთან დაკავშირებულ სხვა გადასახადებს გამოკლებული წარმოებასთან დაკავშირებული დოტაციები (ინსტიტუციონალურ სექტორებში გაანგარიშებული ტრანზაქცია) და პროდუქციაზე დაწესებული გადასახადების და დოტაციების სალდო (ეროვნულ ეკონომიკაში გაანგარიშებული ტრანზაქცია). ანგარიშს ხურავს პოზიცია მთლიანი ოპერაციული ნამატი (შინამეურნეობების სექტორში ასევე მთლიანი შერეული შემოსავალი).

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის სქემა

<i>გასავალი</i>	<i>შემოსავალი</i>
	B.1g მთლიანი დამატებული ღირებულება / მთლიანი შიდა პროდუქტი
D.1 დასაქმებასთან დაკავშირებული დანახარჯები	
D.11 შრომის ანაზღაურება	
D.12 დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური დაზღვევის გადასახადი	
D.29/D.39 წარმოებასთან დაკავშირებული დანარჩენ გადასახადებს მინუს დანარჩენი დოტაციები პროდუქციაზე	
B.2g/B.3g მთლიანი საოპერაციო ნამატი / მთლიანი შერეული შემოსავალი	

შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში

ასახავს წარმოების პროცესში მიღებული შემოსავლის ინსტიტუციონალურ სექტორებს შორის განაწილებას. შემოსავლების მხარეს ანგარიშს ხსნის პოზიცია მთლიანი ოპერაციული ნამატი (შინამეურნეობების სექტორში – მთლიან შერეულ შემოსავალთან ერთად). ამ ანგარიშში აღირიცხება დასაქმებასთან დაკავშირებული დანახარჯები და საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავალი. შემოსავლების მხარეს აღირიცხება ასევე წარმოებასთან დაკავშირებულ გადასახადებს და იმპორტს გამოკლებული დოტაციები. დამაბალანსებელი პოზიციებია მთლიანი პირველადი შემოსავლები და შიდა ეკონომიკის მთლიანი ეროვნული შემოსავალი.

შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშის სქემა

გასავალი	შემოსავალი
	B.2g/B.3g მთლიანი საოპერაციო ნამატი / მთლიანი შერეული შემოსავალი
	B.2n/B.3n საოპერაციო ნამატი ნეტო / შერეული შემოსავალი ნეტო
	D.1 დასაქმებასთან დაკავშირებული დანახარჯები D.11 შრომის ანაზღაურება D.12 დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური გადასახადი
D.4 საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავლები D.41 საპროცენტო სარგებელი	D.4 საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავლები D.41 საპროცენტო სარგებელი D.42 საწარმოების და ფინანსური ინსტიტუციების განაწილებული შემოსავალი D.44 სხვა შემოსავლები ინვესტიციებიდან
D.45 მიწის იჯარა	
B.5g მთლიანი პირველადი შემოსავლების სალდო	
B.5n პირველადი შემოსავლების სალდო ნეტო	

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

წარმოადგენს მთლიანი განკარგვადი შემოსავლების ფორმირებას. შემოსავლების მხარეს დამაბალანსებელ პოზიციად ფიგურირებს მთლიანი პირველადი შემოსავლები. მთლიანი პირველადი შემოსავლების განაწილება ხდება ინსტიტუციონალურ სექტორებს შორის ფულადი გადარიცხვების შედეგად. მთლიანი პირველადი შემოსავლების შესწორება ხდება მიმდინარე საშემოსავლო და ქონების გადასახადებით, სოციალური გადასახადის შენატანების ნეტო და სოციალური სერვისები გარდა სოციალური ტრანსფერებით ნატურით (სოციალური უზრუნველყოფის ფულადი სერვისები, დანარჩენი სოციალური სერვისები, სოციალური დახმარების ფულადი სერვისები) ასევე დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერებით. ანგარიშს ხურავს პოზიცია მთლიანი განკარგვადი შემოსავლები, რომელიც განკუთვნილია მოხმარებისთვის და დანაზოგებისთვის.

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის სქემა

<i>გასავალი</i>	<i>შემოსავალი</i>
	B.5g მთლიანი პირველადი შემოსავლების სალდო
	B.5n პირველადი შემოსავლების სალდო ნეტო
D.5 მიმდინარე საშემოსავლო, ქონების და სხვა გადასახადები	
D.51 საშემოსავლო გადასახადი	
D.59 სხვა მიმდინარე გადასახადები	
D.61 სოციალური გადასახადის შენატანი ნეტო	D.62 სოციალური სერვისების გარდა სოციალური ტრანსფერებისა ნატურით
D.611 დამსაქმებლის მიერ ფაქტიურად გადახდილი სოციალური გადასახადის შენატანი	D.621 ფულადი სოციალური სერვისის სოციალური უზრუნველყოფიდან
D.612 დამსაქმებლის მიერ გადახდილი პირობითად განსაზღვრული სოციალური გადასახადის შენატანი	D.622 დანარჩენი სერვისები სოციალური დაზღვევიდან
D.613 შინამეურნეობების მიერ ფაქტიურად გადახდილი სოციალური გადასახადის შენატანი	D.623 ფულადი სოციალური სერვისის სოციალური დახმარებიდან
D.614 შინამეურნეობების მიერ სოციალური გადასახადის შენატანის დამატებითი გადასახადი	
D.7 დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები	D.7 დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები
D.71 დანარჩენი პირადი და წილების დაზღვევის შენატანი	D.72 დანარჩენი პირადი და წილების დაზღვევიდან მიღებული კომპენსაცია და სერვისები
D.75 სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერები	D.75 სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერები
B.6g მთლიანი განკარგავალი შემოსავალი	
B.6n განკარგავალი შემოსავალი ნეტო	

11. მაკროეკონომიკური კატეგორიები

მთლიანი გამოშვება

- მოიცავს წარმოების სხვადასხვა ეტაპზე არსებული ყველა ეროვნული ინსტიტუციონალური ერთეულის მიერ გამომუშავებული ნაწარმისა და მომსახურების ღირებულებას მოცემული პერიოდისთვის,
- მთლიან გამოშვებაში შედის:
 - ერთეულის გარეთ გაყიდული პრდუქცია (გარდა სასაქონლო ბრუნვისა),
 - ერთი ინსტიტუციონალური ერთეულის ადგილობრივი ერთეულის მომარაგებისთვის განკუთვნილი პროდუქცია (შემდგომი გადამუშავებისთვის, შიდა ბრუნვა),
 - სავაჭრო მარჟა სასაქონლო ბრუნვაში,
 - ინსტიტუციონალური ერთეულის საკუთარი საბოლოო მიზნებისთვის გამომუშავებული პროდუქტი (ინდივიდუალური მოხმარებისთვის ან ძირითადი საშუალებების ღირებულების გაზრდისთვის),
 - ცვლილებები მზა ნაწარმის მარაგის და დასასრულებელი ნაწარმის ღირებულებაში.

შუალედური მოხმარება

- მოიცავს წარმოების პროცესში დანახარჯების სახით გამოყენებული ნაწარმისა და მომსახურების ღირებულებას, გარდა ძირითადი საშუალებებისა, რომელთა მოხმარებაც აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია,
- შუალედურ მოხმარებაში შედის:
 - მასალების მოხმარება ნეტო (საწვავის ჩათვლით და სამომხმარებლო ნარჩენების ღირებულების გამოკლებით), რესურსები (შეფუთვის ჩათვლით), ენერჯია, ტექნიკური აირი,
 - გარე მომსახურება (გარე დამუშავება, სატრანსპორტო მომსახურება, მოწყობილობა-დანადგარების იჯარა, სატელეკომუნიკაციო და სააღმრისხველო ხარჯები, საბანკო მომსახურების საკომისიო),
 - ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება (FISIM),

- სამსახურებრივი მივლინებების ხარჯები (პერდიემის გარეშე),
- სხვა ხარჯები (მაგ. რეკლამის, წარმომადგენლობითი ხარჯები, იჯარა, სამივლინებო ბილეთების ხარჯი, კერძო ავტომობილის სამსახურებრივი მიზნებისთვის გამოყენების ფიქსირებული დანახარჯები, საბირჟო გადასახადები).

მთლიანი დამატებული ღირებულება

- ასახავს ეროვნული ინსტიტუციური ერთეულების საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ახალ ღირებულებას,
- შეადგენს სხვაობას მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

მთლიანი შიდა პროდუქტი

- წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სუბიექტის საქმიანობის საბოლოო შედეგს,
- შეადგენს ყველა ეროვნული ინსტიტუციონალური ერთეულების მიერ გამომუშავებული მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული პროდუქციაზე დაწესებული გადასახადი და გამოკლებული დოტაციები პროდუქციაზე.

დასაქმებასთან დაკავშირებული გადასახადები

- დამსაქმებლების მიერ გადახდილი სახსრები დაქირავებული თანამშრომლების მიერ გაწეული შრომის სანაცვლოდ,
- დასაქმებასთან დაკავშირებულ გადასახადებში შედის:
 - შრომის ანაზღაურება (დასაქმებულების დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური და ჯანდაცვის გადასახადის შენატანი),
 - დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური დაზღვევის გადასახადი,
 - დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (მაგ. ჯილდოები, სტიპენდიები, პრემიები, სამივლინებო პერდიემი).

მთლიანი ოპერაციული ნამატი (შერეული შემოსავალი)

- ასახავს წარმოების პროცესის შედეგად მიღებულ ნამატს ან დეფიციტს, საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინებამდე,

- მას ვიღებთ მთლიანი დამატებული ღირებულებას დასაქმებასთან დაკავშირებული ხარჯების და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადების გამოკლებით და წარმოებასთან დაკავშირებული დოტაციების დამატებით,
- შინამეურნეობის სექტორში, ინდივიდუალური მეწარმეებისთვის ოპერაციული ნამატი შერეული შემოსავლის ხასიათს ატარებს, რადგან შემოსავალი მომდინარეობს როგორც ინვესტირებული კაპიტალიდან (მეწარმის მოგება), ასევე ატარებს შრომის ანაზღაურების ნიშნებს.

მთლიანი პირველადი შემოსავლები შინამეურნეობის სექტორში

- მთლიან პირველად შემოსავალში შედის:
 - მთლიანი ოპერაციულ ნამატი მთლიან შერეულ შემოსავალთან ერთად,
 - დაქირავებულ შრომასთან დაკავშირებული შემოსავალი (რომელიც მოიცავს დასაქმებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულ პაკეტს ანუ შრომის ანაზღაურებას, სოციალური და ჯანდაცვის გადასახების შენატანებთან ერთად, დასაქმებულების მიერ გადახდილი სოციალური გადასახადები და დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები),
 - საკუთრების უფლებიდან მიღებული შემოსავალი,
- მთლიანი პირველადი შემოსავალი ასრულებს მთლიანი განკარგვადი შემოსავლის ფორმირების ფუნქციას.

მთლიანი განკარგვადი შემოსავლები შინამეურნეობის სექტორში

- წარმოიქმნება მთლიანი პირველადი შემოსავლების შემდეგი ელემენტების შესწორებით:
 - მიმდინარე საშემოსავლო და ქონების გადასახადები,
 - სოციალური დაზღვევის გადასახადის შენატანი,
 - სოციალური სერვისების გარდა სოციალური ტრანსფერებისა ნატურით(ფულადი სოციალური სერვისი სოციალური უზრუნველყოფიდან, დანარჩენი სერვისები სოციალური დაზღვევიდან, ფულადი სოციალური სერვისი სოციალური დახმარებიდან),
 - დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები.

12. რეგიონული ანგარიშების შედგენის პრინციპები

რეგიონული ანგარიშების გენერალური პრინციპი – მეთოდოლოგიური და რიცხობრივი თანხვედრის შენარჩუნება ეროვნულ ანგარიშებთან:

- ეროვნული ანგარიშების ცნებების და დეფინიციების გამოყენება,
- შედეგების ბალანსირება მთლიანი ეკონომიკის ეროვნული ანგარიშების შედეგებთან და თოთოეულ ინსტიტუციონალურ სექტორთან.

რეგიონული ანგარიშების ძირითადი პრინციპები

- რეგიონული ანგარიშების დაკვირვების ერთეული – საქმიანობის სახის ადგილობრივი ერთეული,
- მონაცემების დაჯგუფება რეგიონულ ჭრილში (NUTS 2 და NUTS 3) საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია NACE Rev. 2-ის მიხედვით – საწარმოს ადგილობრივი ერთეულის მისამართის და ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ადგილობრივი ერთეულების დაჯგუფება ინსტიტუციონალური სექტორების მიხედვით – ძირითადი ერთეულის კლასიფიკაციის შესაბამისად, ანუ ერთი ადგილობრივი ერთეულის მიერ გამომუშავებული და იგივე ინსტიტუციონალური ერთეული სხვა ადგილობრივ ერთეულში გადამუშავებისთვის განკუთვნილი პროდუქციის ღირებულების დამატებით,
- მთლიანი გამოშვების და შუალედური მოხმარების აღწერა შიდა ბრუნვების გათვალისწინებით,
- მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონალიზაცია რეგიონული მთლიან დამატებულ ღირებულებამდე (NUTS 2 და NUTS 3-ის დონეზე).

ESA 2010-ის [13.43.] პუნქტის თანახმად:


რეგიონებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის საბაზრო ფასებში გაანგარიშების მიზნით ხდება წარმოებაზე დაწესებული გადასახადების და დოტაციების ალოკაცია რეგიონებში. პირობითად, რეგიონების გარე გადასახადების და დოტაციების ალოკაცია ხდება ყველა საქმიანობის სახეების საბაზო ფასებში გაანგარიშებული მთლიანი დამატებული ღირებულების რელატიური სიდიდის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოში არსებობს განსაკუთრებული დაბეგვრის სისტემის ტერიტორიები, სადაც გადასახადების და დოტაციების ტარიფები მნიშვნელოვნად განსხვავდება, შესაძლებელია ალოკაციის განსხვავებული მეთოდის გამოყენება, გამონაკლისის სახით.

ESA 2010-ის [13.31.] პუნქტის თანახმად:

წარმოების შესახებ აგრეგირებული მონაცემები გადანაწილდება რეგიონებზე ხდება ტრანზაქციების განმახორციელებელი ერთეულის რეზიდენტობის პრონციპით. საქმიანობის სახის ადგილობრივი ერთეულის რეზიდენტის სტატუსი წარმოადგენს აგრეგირებული მონაცემების შესაბამის რეგიონებზე გადანაწილების ძირითად კრიტერიუმს. რეზიდენტობის მიხედვით მიდგომა უფრო რეკომენდირებულია, ვიდრე ტერიტორიული მიდგომა, რომელშიც სამეწარმეო საქმიანობის განაწილება ხდება მისი ადგილმდებარეობის მიხედვით.

13. რეგიონალიზაციის მეთოდები

- ხელმისაწვდომი მონაცემების წყაროების და დეტალურობის გათვალისწინებით, შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენება.



მეთოდი „ქვემოდან ზემოთ“ (bottom-up)

- მოითხოვს სანდო მონაცემებს საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულების დონეზე,
- მეთოდი გულისხმობს საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულების მონაცემების დაჯამებას მანამდე, სანამ არ მივიღებთ მოცემული რეგიონის აგრეგირებულ მონაცემს,
- რეგიონული მონაცემები უნდა დაჯამდეს რათა მივიღოთ ქვეყნის შესაბამისი მონაცემი.

პლიუსები

- გამოთვლების წარმოების შესაძლებლობა ყველა გეოგრაფიული ტერიტორიისთვის,
- იძლევა მონაცემების რეგიონულ ჭრილში და საქმიანობის სახეების ჭრილში განაწილების ყველაზე სანდო სურათს, რადგან ეფუძნება უშუალო მონაცემებს.

მინუსები

- ძვირადღირებული მეთოდია, რადგან მოითხოვს მონაცემებს მოცემული რეგიონის რეზიდენტი ერთეულების შესახებ,
- ამ მეთოდის მიხედვით მიღებული შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნის დონეზე წარმოებული გამოთვლებისგან, განსხვავებული მონაცემთა წყაროების გამოყენების შემთხვევაში. ამიტომაც საჭიროა რეგიონული შეფასებების შესაბამება ქვეყნის დონეზე წარმოებული შეფასებებთან.

მეთოდი „ფსევდო ქვემოდან ზემოთ“ (pseudo bottom-up)

- გამოიყენება მაშინ, როდესაც არ არსებობს სრული ინფორმაცია საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულების შესახებ,
- საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულების მონაცემების შეფასებით გაანგარიშება ხდება მთლიანი საწარმოს, საქმიანობის სახის ერთეულის ან ადგილობრივი ერთეულის მონაცემების საფუძველზე,
- ადგილობრივი ერთეულების მონაცემები ჯამდება რეგიონის აგრეგირებული მონაცემის მიღების მიზნით, ისევე როგორც მეთოდი „ქვემოდან ზემოთ“ შემთხვევაში.

მეთოდი „ზემოდან ქვემოთ“ (top-down)

- გამოიყენება რეგიონული აგრეგირებული მონაცემის ადგილობრივი ერთეულების მონაცემების შეჯამების გზით მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში,
- ქვეყნის მონაცემები განაწილდება უშუალოდ რეგიონებზე,
- მეთოდი გულისხმობს ქვეყნის მონაცემის განაწილებას რეგიონებზე შესაბამისი განაწილების გასაღების (ალგორითმის) გამოყენებით,

- განაწილების გასაღები შემუშავდება ადგილობრივი ერთეულების ან საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულების ცვლადების შეფასებითი მონაცემების საფუძველზე.

პლიუსები

- რეგიონული და ეროვნული ციფრობრივი მონაცემების თანხვედრა გარანტირებულია,
- როგორც წესი, მეთოდის გამოყენება არ უკავშირდება დიდ ხარჯებს, რადგან იყენებს ხელთ არსებულ მონაცემებს, არ მოითხოვს ახალ მონაცემთა ბაზების და ერთეული მონაცემების გადამუშავების სპეციალური სისტემის შექმნას, ასევე შეიძლება ეყრდნობოდეს წარმომადგენლობით კვლევებს.

მინუსები

- მონაცემების რეგიონალიზაციისთვის სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენების აუცილებლობა, რის გამოც მონაცემთა ტერიტორიული განაწილება ყოველთვის არ არის ზუსტად ასახული,
- ხელმისაწვდომი მაჩვენებლების მიხედვით გამოთვლილი რეგიონული სიდიდეები შეიძლება მხოლოდ რეალურ სურათთან მიახლოებული იყოს.

მეთოდი „ფსევდო ზემოდან ქვემოთ“ (pseudo top-down)

- გადანაწილების გასაღები არ შემუშავდება ადგილობრივი ერთეულების ან საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულების მონაცემების საფუძველზე და არ არის მიახლოებული შეფასებულ ცვლადებთან.

შერეული მეთოდი

- გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხელთ არსებული მონაცემები განსხვავებული დეტალურობისაა, ანუ მხოლოდ ზოგი მონაცემია წარმოდგენილი ადგილობრივი ერთეულების დონეზე, ხოლო დანარჩები ქვეყნის დონეზე.
- მოცემული კატეგორიისთვის გამოიყენება ერთდროულად რეგიონალიზაციის სხვადასხვა მეთოდები – როგორც „ქვემოდან ზემოთ“, ასევე „ზემოდან ქვემოთ“. მოცემული კატეგორიისთვის შევარჩევთ მისთვის შესაბამის მეთოდს.

ESA 2010-ის [13.29.] პუნქტის თანახმად:

რეკომენდირებულია რეგიონული სიდიდეების უშუალოდ გაზომვა, ნაცვლად ირიბი შეფასებებისა. თუ საქმიანობის სახეების ადგილობრივი ერთეულების დონეზე ხელმისაწვდომია სანდო მიკრო მონაცემები, რეგიონული სიდიდეების გაანგარიშება უნდა მოხდეს მეთოდი „ქვემოდან ზემოთ“ გამოყენებით. ეროვნულ ანგარიშებთან მიმართებაში შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით, რეგიონული ანგარიშების შეფასებები უნდა შეთანხმდეს ეროვნული ანგარიშების აგრეგირებულ მონაცემებთან.

14. პუბლიკაციები და მონაცემთა ბაზები

ევროსტატის მონაცემთა ბაზა

- მონაცემები რეგიონული ანგარიშებიდან მოთავსებულია თემაში: ზოგადი და რეგიონული სტატისტიკა / რეგიონული სტატისტიკა კლასიფიკაცია NUTS -ის მიხედვით / ეკონომიკური რეგიონული ანგარიშები,

The screenshot displays the Eurostat database navigation menu. The main category is 'Regional statistics by NUTS classification (reg)'. It is divided into three sub-categories: 'Regional agriculture statistics (reg_agr)', 'Regional demographic statistics (reg_dem)', and 'Regional economic accounts - ESA95 (reg_eco)'. Under 'Regional economic accounts - ESA95 (reg_eco)', there are three main sub-sections: 'Gross domestic product indicators - ESA95 (reg_ecogdp)', 'Branch accounts - ESA95 (reg_ecobrch)', and 'Household accounts - ESA95 (reg_ecohh)'. Each sub-section contains a list of specific indicators, each with a 'ZIP' icon and a description. For example, under 'Gross domestic product indicators', there are indicators for GDP at current market prices by NUTS 2 and 3 regions, real growth rate of regional gross value added (GVA) at basic prices by NUTS 2 regions, dispersion of regional GDP by NUTS 3 regions, and average annual population to calculate regional GDP data. Under 'Branch accounts', there are indicators for gross fixed capital formation, compensation of employees, and employment by NUTS 2 and 3 regions. Under 'Household accounts', there are indicators for allocation of primary income, secondary distribution of income, and income of households by NUTS 2 regions.

- ბაზა მოიცავს, მათ შორის, ინფორმაციას მთლიანი შიდა პროდუქტის, საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი დამატებული ღირებულების, ასევე პირველადი შემოსავლებისა და შინამეურნეოების განკარგვადი შემოსავლების შესახებ რეგიონულ ჭრილში,
- მონაცემები წარმოდგენილია NUTS 2 ან NUTS 3-ის დონეზე,
- რეგიონული ანგარიშების საფუძველზე, ევროსტატი შეიმუშავებს ოფიციალურ მონაცემებს რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის.

<http://ec.europa.eu/eurostat/web/regions/data/database>

ვროსტატის პუბლიკაციები

- კომუნიკატები (News releases), მათ შორის რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ – (Regional GDP – GDP per capita in the EU in 2011: seven capital regions among the ten most prosperous),



29/2014 - 27 February 2014

Regional GDP

GDP per capita in the EU in 2011: seven capital regions among the ten most prosperous

In 2011, GDP per capita¹, expressed in terms of purchasing power standards², in the EU28's 272 NUTS-2³ regions ranged from 29% of the EU28 average in the regions of **Severozapaden** in Bulgaria and **Nord-Est** in Romania, to 321% of the average in **Inner London** in the United Kingdom.

This information is taken from data released by Eurostat, the statistical office of the European Union.

<http://ec.europa.eu/eurostat/web/products-press-releases/-/1-27022014-AP>

- რეგიონების სტატისტიკური წელიწადეული (Eurostat regional yearbook 2014).

<http://ec.europa.eu/eurostat/web/products-statistical-books/-/KS-HA-14-001>

15. რეგიონული ანგარიშების მონაცემების მნიშვნელობა და გამოყენება

მნიშვნელობა

რეგიონული ანგარიშები

- თამაშობს მნიშვნელოვან როლს სტატისტიკურ სისტემაში,
- წარმოადგენს მაკროეკონომიკური ინფორმაციის წყაროს ტერიტორიულ ჭრილში,
- გვაძლევს თანმიმდევრულ და კომპლექსურ ინფორმაციას სივრცითი ეკონომიკური ანალიზებისთვის,
- წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში.

ESA 2010-ის [13.05.] პუნქტის თანახმად:

ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში რეგიონები სხვადასხვა დონეზე ფლობენ საკმაოდ დიდ ავტონომიას გადაწყვეტილებების მიღების კუთხით. შესაბამისად, ასეთი რეგიონების რეგიონული ანგარიშები ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნული და რეგიონული პოლიტიკისთვის.

გამოყენება

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების შედეგები გამოიყენება შემდეგ სფეროებში:


- ევროკავშირის სტრუქტურული სახსრების განაწილებისთვის და ხელშეწყობი ფონდების მიღების უფლების მქონე რეგიონების შერჩევისთვის, ასევე გაწეული დახმარების შედეგების მონიტორინგისთვის (ევროსტატისთვის გადაცემული მონაცემების საფუძველზე),
- განვითარების სტრატეგიების და ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება და მონიტორინგი,
- საერთაშორისო შედარებებისთვის.

ESA 2010-ის [13.06.] პუნქტის თანახმად:

რეგიონული ანგარიშები ასევე ემსახურება მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ მიზნებს, მაგალითად:

- a) მოცემული სახელმწიფო გადასახადიდან მიღებული შემოსავლის განაწილება სამთავრობო და მუნიციპალურ ინსტიტუციებს შორის რეგიონულ დონეზე;*
- b) სახსრების განაწილება ევროპის შეკავშირების პოლიტიკის ფარგლებში.*

2014-2020 წლების შეკავშირების პოლიტიკის ფარგლებში სახსრების გადანაწილება



Cohesion Fund eligibility 2014-2020

Category

- GNI/head < 90% of EU27 average
- Phasing-out support
- Other Member States


GNI/head figures: average 2008-09-10
Sources: Eurostat, DG REGIO

0 500 Km

© EuroGeographics Association for the administrative boundaries

წყარო: ევროკომისია; http://ec.europa.eu/regional_policy/how/coverage/index_en.cfm

2014 -2020 წლების სტრუქტურული პოლიტიკის ფარგლებში სახსრების გადანაწილება



წყარო: ევროკომისია; http://ec.europa.eu/regional_policy/how/coverage/index_en.cfm

